

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„კაპიტალ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2018

შინაარსი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება	9
განმარტებითი შენიშვნები.....	10

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	2018
შემოსავალი	4	4,571,233
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები		-
საერთო მოგება		4,571,233
ადმინისტრაციული ხარჯები	5	(3,436,930)
საპროცენტო ხარჯი		(1,711,284)
სხვა შემოსავალი	6	46,439
სხვა ხარჯები	7	(328,830)
ზარალი		(859,371)
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წლის ზარალი		(859,371)
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-
სულ წლის სრული შემოსავალი		(859,371)

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

**ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

გრძელვადიანი აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,137,666	2,610,518
სხვა გრძელვადიანი აქტივი		-	39,687
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,137,666	2,650,206
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		12,693	4,132
გადახდილი ავანსები		1,748	1,698
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	10,578,511	11,956,652
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	5,744	73,785
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,598,697	12,036,267
სულ აქტივები		11,736,363	14,686,473
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,557	3,557
დაგროვილი ზარალი		(16,275,468)	(15,416,097)
სულ კაპიტალი		(16,271,910)	(15,412,540)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		14,764,850	16,115,241
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,764,850	16,115,241
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		82,627	10,144
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		(28,970)	(28,970)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	13,189,767	14,002,597
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13,243,423	13,983,771
სულ ვალდებულებები		28,008,273	30,099,012
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,736,363	14,686,473

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

შპს „კაპიტალ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის	3,557	(15,416,097)	(15,412,540)
მიმდინარე წლის ზარალი	-	(859,371)	(859,371)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	3,557	(16,275,468)	(16,271,910)

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება**2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**

ფულადი ნაკადები	2018
მიმდინარე წლის ზარალი	(859,371)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებით:	
ძირითადი საშუალების ცვეთა	1,460,148
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:	
სხვა დანახარჯები	(348,109)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა)	1,378,141
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)	(8,561)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	(1,682,581)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(60,334)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
მანქანა დანადგარების შეძენა	(7,707)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(7,707)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(68,041)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	73,785
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5,744

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შემზადებული პასუხისმგებლობის კომპანია „კაპიტალ გრუპ“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია 2006 წლის 28 სექტემბერს. კომპანია დარეგისტრირებულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მოსახლეობის გადაადგილების უზრუნველყოფა მიკროავტობუსების საშუალებით. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება კომპანიას მინიჭებული აქვს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ქ.თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემისათვის კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2010 წლის 29 ოქტომბრის N 11-71 გადაწყვეტილებისა და „ქ.თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის ფასის გადახდის წესის დამტკიცებისა და ნებართვის გამცემის განსაზღვრის შესახებ“ კანონის საფუძველზე. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი ნოდარ ბოხუას ქუჩა, N4, სართული 9.

მგზავრების გადასაყვანად საჭირო მიკროავტობუსები კომპანიამ შეიძინა 2011-2012 წლებში. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები საოპერაციო იჯარით გასცა იურიდიულ პირებზე (მიკროავტობუსის მძღოლებზე).

მოიჯარები, გარდა კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელი საიჯარო თანხისა, ასევე, კომპანიას უხდიან საგზურის თანხებს, რასაც თავის მხრივ კომპანია უხდის თბილისის მერიას ნებართვის მოსაკრებლის სახით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100 %იან წილის მფლობელს წარმოადგენს ზვიად ბოკუჩავა - 100%.

2 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს მსს-ს) შესაბამისად (გადახედილი 2015 წელს), რომელიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა სარეკომენდაციო მითითება, რომელიც 3 კატეგორიის საწარმოთათვის შედგათს ითვალისწინებს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი, თუმცა ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მცირე ფასს-ით მომზადებულ სრულ პაკეტს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა - ქართული ლარი.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკნელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

(ბ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(გ) სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

(დ) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(ე) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაციები ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მოთხოვნების დარეზერვება ხდება იგივე მიდგომით, როგორც გაცემული სესხების შემთხვევაში.

(ვ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) შემოსავალი მიკროავტობუსების გაქირავებიდან

შემოსავლები მიკროავტობუსების გაქირავებიდან წარმოადგენს საოპერაციო იჯარიდან მიღებულ შემოსავლებს, რაც აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

(ბ) შემოსავალი იჯარიდან

იჯარიდან მიღებული შემოსავლები მოიცავს სასაწყობე და კომერციული ფართების გაქირავებით მიღებულ შემოსავლებს, რაც აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

(გ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გაღწევა.

(დ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ბარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ბარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ბარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოდგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.67	3.07
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.59	3.10

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. შენობებზე გამოიყენება წლიური 5-15%-იანი ცვეთის განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე - წლიური 15%-დან 20%-მდე, ხოლო ოფისის აღჭურვილობაზე 20%-იანი განაკვეთი.

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან.

3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა, გაცემული სესხების ანარიცხების განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4 შემოსავლები

კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შედგება მენარმე ფიზიკურ პირებზე (მიკროავტობუსის მძღოლებთან) საიტარო ხელშეკრულების საფუძველზე აკუმულირებული შემოსავლებისგან.

შემოსავლების აღნიშნული მუხლი შედგება როგორც „იჯარის“, ასევე „საგზურის“ საფასურიგან, რასაც იურიდიული პირები კომპანიას უხდიან დადგენილი ტარიფების* შესაბამისად.

* მოიჯარესა და მეიჯარეს შორის ხელშეკრულების გაფორმებისას დგინდება შესაბამისი ტარიფები, რაც განსაზღვრავს „იჯარისა“ და „საგზურის“ გადასახდელების ოდენობას. იჯარის თანხები ყოველი ხელშეკრულებისთვის არის ერთი დაიგივე, ხოლო საგზურის თანხები განსხვავებულია მარშრუტების მიხედვით.

5 ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
ცვეთა და ამორტიზაცია	1,460,148
შრომის ანაზღაურება	559,768
საგადასახადო ხარჯი	283,101
მმართველობითი ხარჯი	180,000
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	167,018
საკომუნიკაციო ხარჯი	127,415
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	330,075
სხვა ხარჯი	177,308
სხვა საოპერაციო ხარჯი	82,506
ნებართვის მოსაკრებლის ხარჯი	54,900
ჯარიმები და საურავები	13,787
საწვავის ხარჯი	904
სულ	(3,436,930)

6 სხვა შემოსავლები

	2018
შემოსავალი იჯარიდან	4,447
საპროცენტო შემოსავალი	41,958
სხვა	34
სულ	46,439

შემოსავლები იჭარიდან მოიცავს აკუმულირებულ თანხებს, რასაც კომპანია იღებს მიკროავტობუსების გაქირავებიდან. აღნიშნულ იჭარებს აქვს მოკლევადიანი ხასიათი და ძირითადად მისი დანიშნულება არის საექსკურსიო, სადღესასწაულო და ა.შ) რეკლამებიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს შემოსავლებს, რასაც მეიჯარე იღებს მიკროავტობუსებზე სარეკლამო პლაკატების განთავსებით.

7 სხვა ხარჯები მოიცავს იჭარის ხარჯს 328 830 ლარს.

8 ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვი ლობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჭარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
საბალანსო ღირებულება 01/01/2018	41,917	61,921	2,497,994	8,686	2,610,518
საბალანსო ღირებულება 31/12/2018	7,635	49,216	1,073,432	7,383	1,137,666

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2018	01.01.2018
პარტნიორებზე გაცემული სესხი	492,473	342,549
საიჯარო მოთხოვნა	693,127	688,993
სავაჭრო მოთხოვნები	8,963,412	10,509,037
საპროცენტო მოთხოვნა გაცემულ სესხზე	61,507	19,546
სხვა მოთხოვნები	367,992	396,527
სულ	10,578,511	11,956,652

10 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,216	2,113
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	4,528	71,672
სულ	5,744	73,785

შპს „კაპიტალ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2018	01.01.18
სავაჭრო ვალდებულებები	9,619,897	11,302,460
სხვა ვალდებულებები	3,569,870	2,700,137
სულ	13,189,767	14,002,597

15 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

2018 წლის 31 დეკემბრიდან ამ ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

16 ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა გამოსაშვებად 2019 წლის 25 სექტემბერს.